საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№113 2017 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2017 წლის 7 მარტს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 3 125 (სამი ათას ას ოცდახუთი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

გიორგი კვირიკაშვილი